ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი

21.02.2024 წელი

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, რეზო კვერენჩხილაძე, ელისო ჭიჭინაძე, მაკა მშვიდობაძე, გოჩა ჯანაშია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი **მიხეილ ორაგველიძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 100 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 110527 ლარი, სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 2210527 ლარს. აქედან, ქალაქ ლანჩხუთში გურიელის, ნინოშვილის, ურუშაძისა და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაციაზე 1157895 ლარი, მათ შორის რეგ.ფონდიდან 1100000 ლარი; ჩოჩხათი-არჩეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1052632 ლარი, მათ შორის რეგ.ფონდიდან 100000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2401 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 748000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 1451720,62 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 221000 ლარი, რომელიც მიიმართება სოფ. ქვიანში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციაზე.

ზემოთ აღნიშნულ განკარგულებაში მიმდინარე წლის 14 თებერვლის საქართველოს მთავრობის N184 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 600000 ლარი, რომლიდანაც მოსახლეობისათვის თუნუქის სახურავის და ხის მასალის შეძენისათვის მიიმართება 425700 ლარი, ქ.ლანჩხუთში სამუსიკო სკოლის, აღმაშენებლის I ჩიხის ბინა 3-ის, საფო მგელაძის ქ. N53-ის და სუფსის ადმ.ერთეულში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე 174300 ლარი.

წინა წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი თანხები, რომელიც 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ირიცხება ნაშთად და უნდა გაიხარჯოს მიზნობრივად, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 1000010,65 ლარი უნდა მიიმართოს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლუატაცია რეაბილიტაციაზე 37323,62 ლარი, გზების კაპიტალურ შეკეთებაზე 713216,07 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე 249470,96 ლარი.

2023 წლის რეგიონული ფონდიდან გამოყოფილი თანხით ქ.ლანჩხუთში განხორციელებული ქუჩების რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან თანადაფინანსებაზე მიიმართოს 86177,07 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 260647,67 ლარი მიიმართოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართოს 576656,48 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 225710,25 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით გამოყოფილი 59273,91 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 30399,89 ლარი მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან 129809 ლარი მიიმართოს სტიქიით დაზიანებული გზების გაწმენდითი სამუშაოების განხორციელებისათვის ტექნიკის დაქირავებაზე, 72031 ლარი მიიმართოს სტიქიით დაზიანებული მოსახლეობის სასტუმროს მომსახურების ხარჯების დაფინანსებაზე.

ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების (შშმ პირებზე) ადაპტირების სამუშაოებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს 92165,61 ლარი.

სუფსის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს 194622 ლარი.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამაზე სხვა ხარჯების მუხლიდან მიიმართოს (კლასიფ,მუხლი 2.8) 70617,90 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 150000 ლარით.

მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 60952 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 4900 ლარი.

ა(ა)იპ სპორტულ ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 4900 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე მიმართული იქნა ფინანსური დახმარება 1100000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის #2324 განკარგულებით გამოიყო ფინანსური დახმარება 1000000 ლარი, რომელიც ჩამოირიცხა 2023 წლის 28 დეკემბერს და აისახა ბიუჯეტის ნაშთში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შემცირდეს 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 1100000 ლარით და ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან 1100000 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების (03 01) მუხლის 112000 ლარის და მუნიციპალური ტრანსპორტის (02 07) საქონელი და მომსახურების ხარჯის 7250 ლარით შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 100000 ლარით, შტატით მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 19250 ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** ისაუბრა ქალაქში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ და განმარტა, რომ მიმდინარე წლის მარტის თვეში მოხდება 4 ქუჩის მოასფალტება, ხოლო სულ 2024 წელს კიდევ მოეწყობა დაახლოებით 8 - 10 ქუჩა. 52 ქუჩიდან უკვე მოასფალტებულია 20 ქუჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2024 წლის ბოლოსთვის

ქალაქის ქუჩების თითქმის 80% იქნება მოწყობილი და მომავალი წლისთვის თუ ამ ტემპით გაგრძელდა მუშაობა, ქალაქში არ დარჩება არც ერთი ქუჩა და შესახვევი მოასფალტების გარეშე.

კომისიის წევრმა **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ სასურველია ჯერ მოეწყოს სანიაღვრე არხები, რაზეც **კარლო კვიტაიშვილმა** უპასუხა, რომ ზემოაღნიშნულ ქუჩებზე ასფალტის საფართან ერთად მოხდება სანიაღვრე არხების მოწყობაც. აგრეთვე, გურიელისა და ურუშაძის ქუჩებზე წყალკანალის მიერ იგეგმება ახალი წყლის მილების ჩაწყობა, ხოლო რაც შეეხება კანალიზაციის პრობლემის მოგვარებას, ეს საკითხი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ელოდებიან დაახლოებით 30 მლნ. ლარს კანალიზაციის მილების მოსაწესრიგებლად.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამებზე თანხა გამოიყოფა კოეფიციენტის გამოთვლის მიხედვით, რაც უკვე წინა წლებისგან განსხვავებით, ინფლაციის ფონზე საკმარისი აღარ არის. მისი სურვილია გადაიხედოს საკითხი და მოხდეს თანხის გაზრდა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა **მიხეილ ორაგველიძემ** და აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას:

1. ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 2900000 ლარი.
2. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე 114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაცია - 144000 ლარი.

სულ ჯამი შეადგენს - 3 044 000 ლარს.

მიხეილ ორაგველიძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ დარბაზი იქნება მრავალფუნქციური, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, სადაც იქნება 2 დარბაზი. ერთი დარბაზი იქნება დიდი, სადაც ჩატარდება სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, ხოლო მეორე დარბაზი შედარებით მცირე. პროექტი არის საჩუქარი მუნიციპალიტეტისთვის და მიმდინარე წელს დაიწყება მშენებლობა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა.

კომისიის წევრმა **რევაზ კვერენჩხილაძემ** ისაუბრა კლინიკა „ავერსში“ არსებული პრობლემების შესახებ და აღნიშნა, რომ 2023 წლის სექტემბრის თვეში ჯანდაცვის სამინისტრომ დააანონსა, რომ ქვეყნის მასშტაბით მოხდებოდა ყველა კლინიკის შემოწმება. ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, კლინიკას ჰქონოდა KT კვლევის აპარატი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის. „ავერსის“ კლინიკამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი აპარატის არ ქონის გამო და შესაბამისად ვერ მიიღო ლიცენზია. კლინიკას ამჟამად არ ჰყავს ქირურგი, რეანიმატოლოგი და ვერ მუშაობს ინტენსიური თერაპიის განყოფილება. საკითხი დაყენებულია შესაბამის სტრუქტურაში, მაგრამ რეაგირება გვიანდება.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერთან და მერის მოადგილესთან ერთად იმყოფებოდა „ავერსის“ კლინიკაში. მისი თქმით, როგორც ბატონმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, მას ააქვს სისტემატური ურთიერთობა როგორც ჯანდაცვის სამინისტროსთან, ასევე კლინიკის ხელმძღვანელობასთან საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა იაქტიუროს საკითხთან დაკავშირებით, რათა დროულად მოგვარდეს ეს დიდი პრობლემა.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ 20 წლის შშმ პირს, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ხაჯალიაზე მშობლებთან ერთად, ესაჭიროება ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და მოითხოვა ოჯახი შეამოწმოს სოციალურმა სამსახურმა, რათა თავიდან მოხდეს ქულის მინიჭება.

ელისო ჭიჭინაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ 5 თვეა სოფელ ბაღლეფში ერთ მოქალაქეს - ლალი ჯიჯიეშვილს არ მიეწოდება ელექტროენერგია. მან მოითხოვა, რომ აღნიშნულ პიროვნებასთან მივიდეს ენერგო პრო ჯორჯიას წარმომადგენელი და შეისწავლოს პრობლემა.

კომისიის წევრებმა **დარეჯან ბურჭულაძემ** და **ნინო მშვიდობაძემ** დააყენეს საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ სუფსის კულტურის სახლში აუცილებლად მოსაწესრიგებელია იატაკი ბიჭების გასახდელში, აგრეთვე მოსაწყობია საპირფარეშო და სუფსის კულტურის სახლთან არსებულ სამხატვრო ჯგუფს სასწრაფოდ ესაჭიროება დაახლოებით 5 მოლბერტის შეძენა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №2 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 21.02.2024 წ.

2024 წლის 21 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

21.02.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	15:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15:59	
4. ლოლიტა ურუშაძე	ახ ესწრებოდა	
5. კარლო წილოსანი	15 56	
6. ირმა მგელაძე	ახ ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	15:56	
8. გოჩა ჯანაშია	15 55	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	15:56	
10. ელისო ჭიჭინაძე	15 55	